ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 12 სექტემბრის N 03 გადაწყვეტილების
N1 დანართი (კოდიფიცირებული)

(ცვლილებები და დამატებები ბსუ-ს
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით:
2017 წლის 29 ივნისის N2 ;
2017 წლის 27 ოქტომბრის N04;
2018 წლის 5 მარტის N01;
2019 წლის 09 ივლისის N07-01/18;
2019 წლის 16 აგვისტოს N07-01/25;
2019 წლის 22 ნოემბრის N07-01\45და
2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85
2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/49;
2022 წლის 16 სექტემბრის N07-01/43;
2022 წლის 07 ნოემბრის N 07-01/48

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი

(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართოს ძირითადად კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალის (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის) და საჭიროების შემთხვევაში ამ წესის მიხედვით მოწვეული პერსონალის (მოწვეული პროფესორი, სპეციალისტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) მიერ *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

2. **აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს:** *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

2.1. შრომითი ხელშეკრულების პირობები;

2.2. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსთან (აკადემიურ საქმიანობასთან) დაკავშირებით უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

2.3. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, წინამდებარე წესით დადგენილი ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წლიური სავალდებულო აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა (შემდეგში **,,პედაგოგიური დატვირთვა“)** და **სტუდენტთა კონსულტირება** (კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ), ასევე წინამდებარე წესით განსაზღვრული **საათობრივად ანაზღაურებადი** აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

2.4. ამ წესის 28-ე პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

2.5. *(ამოღებულია - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

3. აკადემიური თანამდებობის პირის სავალდებულო აკადემიური დატვირთვის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორია ბსუ-სთან აფილირება, რომელიც რეგულირდება დასაქმებულსა და ბსუ-ს შორის ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრის შესახებ წერილობითი შეთანხმებით (როგორ წესი, აღნიშნული შეთანხმება აისახება შრომით ხელშეკრულებაში შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისთანავე. აფილირების შესახებ მხარეთა წერილობით შეთანხმებაში ცვლილება აისახება შესაბამის შრომით ხელშეკრულებაში) *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

3.1. **ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი:**

ა) ბსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

ბ) ბსუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება ბსუ-ს;

გ) აქტიურად არის ჩართული ბსუ-ს საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

3.2. **ბსუ-სთან აფილირებულად მიიჩნევა:**

ა) პირი, რომელიც დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ ბსუ-ში (მათ შორის პირი, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა);

ბ) ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით ბსუ-ს რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიიღო თანხმობა სხვა დაწესებულებაში შეთავსებითი სამუშაოს შესრულებისათვის (თუ ამით ხელი არ შეეშლება ამ პირის მიერ ბსუ-ში ძირითადი სამუშაოდან გამომდინარე მოვალეობის შესრულებას).

3.3. **ბსუ-ს თან აფილირებულად ვერ ჩაითვლება პირი,** რომელიც ამავდროულად დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში (სახელმწიფო უწყებაში, სასამართლოში და ან ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს 5-დღიან სამუშაო კვირას - ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 9 სთ-დან 18 სთ-მდე განრიგით).

3.4 აკადემიური პერსონალის სავალდებულო წლიური პედაგოგიური დატვირთვა, მათ შორის ელექტრონული **(დისტანციური)** სწავლების ფორმატის შემთხვევაში, მოიცავს სალექციო/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიულ სამუშაო დატვირთვას **(შემდეგში „საუდიტორიო დატვირთვა“)** და წინამდებარე წესით განსაზღვრულ სხვა, არასაუდიტორიო სამუშაო დატვირთვას. **სავალდებულო საუდიტორიო დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:** *(ცვლილება - 14 აგვისტოს N07-01/85)*

3.4.1. სალექციო/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა/სემინარი/ლაბორატორიული სამუშაო დატვირთვა: *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

ა) საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე;

ბ) სამაგისტრო პროგრამებზე, თუკი სტუდენტთა ჯგუფში მათი რაოდენობა არის 10 ან მეტი;

გ) სამაგისტრო ან/და სადოქტორო პროგრამებზე, თუკი სტუდენტთა ჯგუფში მათი რაოდენობა არის 10-ზე ნაკლები **(შემდეგში „მცირერიცხოვანი ჯგუფი“).** ამ შემთხვევაში ეს სამუშაო წლიურ სავალდებულო პედაგოგიურ დატვირთვაში 60 სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3.4.2. საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა - საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად. *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

3.5. უვადო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული ბსუ-ს პროფესორი უნდა იყოს ბსუ-სთან აფილირებული პირი და ვალდებულია შეასრულოს ,,ა' კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. *(ცვლილება - 2019 წლის 09 ივლისის N07-01/18).*

4. ბსუ-ში საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებადი აკადემიური დატვირთვის შემადგენელი კომპონენტი შეიძლება იყოს:

ა) სალექციო, პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა, სემინარული/ლაბორატორიული სამუშაო - სწავლების სამივე საფეხურზე;

ბ) საველე-სასწავლო/საწარმოო/პედაგოგიური პრაქტიკა – საათების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო გეგმების შესაბამისად;

გ) *(ამოღებულია - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

დ) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა – ერთი ნაშრომი-10 საათი;

ე) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (სწავლების მეორე წლიდან) - ერთი ნაშრომი-20 საათი;

ვ) სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში-10 კრედიტის შემთხვევაში -1 სტუდენტი 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში-1 სტუდენტი-5 საათი.

ზ) დოქტორანტისხელმძღვანელობა - სწავლების 6 (ექვსი) სემესტრის განმავლობაში - 100 საათი (პირველი სასწავლო წლის ბოლოს ანაზღაურდება 20 საათი, მეორე სასწავლო წლიდან ყოველი სემესტრის ბოლოს - 20 საათი; თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში 100 საათი ნაწილდება პროპორციულად-სემესტრულად);

5. აკადემიური პერსონალის აკადემიური საქმიანობა, გარდა წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული სააუდიტორიო დატვირთვისა და საათობრივად ანაზღაურებადი არასააუდიტორიო სამუშაო დატვირთვისა, მოიცავს სხვა აქტივობებს/არასააუდიტორიო დატვირთვას, **მათ შორის:** *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

5.1. მზადება ლექციისთვის;

5.2.მზადება პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობისათვის /ჯგუფში მუშაობისათვის /კურაციისათვის;

5.3. სტუდენტთა კონსულტაცია - ,,ა“ კატეგორიისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ხოლო ,,ბ“ და „გ“ კატეგორიისათვის – კვირაში არანაკლებ 2 სთ. (სავალდებულო შესასრულებელი) *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.4. სტუდენტთა სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის, კომპეტენციის ფარგლებში წარმოება, ასევე ელექტრონული სწავლების განხორციელების წესისა და რეკომენდაციების შესაბამისად, შესაბამისი სასწავლო პლატფორმის გამოყენება. *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

5.5. სტუდენტის შეფასება (მიმდინარე, შუალედური, საბოლოო);

5.6. ახალი100 საგამოცდო ტესტის შედგენა ან საგამოცდო საკითხებისა და კითხვების მომზადება;

5.7. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა;

5.8. სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა;

5.9. სახელმძღვანელოს თარგმნა;

5.10. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.11. სამეცნიერო სემინარზე მოხსენების გაკეთება;

5.12. სამეცნიერო სტატიის მომზადება;

5.13. საკონფერენციო თემის მომზადება;

5.14. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.15. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.16. დარგობრივ დეპარტამენტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორ-დინატორობა;

5.17. საჯარო ან ღია ლექციის მომზადება;

5.18. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა;

5.19. აკადემიური საბჭოს წევრობა;

5.20 სილაბუსის შედგენა/სრულყოფა;

5.21. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება;

5.22. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.23. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

5.24. საგამოცდო პროცესში მონაწილეობა;

5.25. სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში -10 კრედიტის შემთხვევაში - 1 სტუდენტზე 10 საათი, 5 კრედიტის შემთხვევაში-1 სტუდენტზე 5 საათი;

5.26. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

6. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყოველწლიური (სასწავლო წლის) აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს ამზადებს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ინიცირებული ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (თანდართული სამუშაო დატვირთვის სქემით) საფუძველზე. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის, ასევე უკვე არსებულ სამუშაო დატვირთვაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მათ შორის სხვა დარგობრივი დეპარტამენტიდან) ახალი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენამდე, ძირითადი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი/ფაკულტეტი საჭირო ინფორმაციის (წინამდებარე წესთან შესაბამისობის მიზნებისათვის) მიღების მიზნით კონსულტაციას გაივლის სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან. *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

7. აკადემიური პერსონალისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი აკადემიური დატვირთვა (მათ შორის საათობრივად ანაზღაურებადი) უპირველესად განისაზღვრება კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხისა და საკონკურსო განცხადებაში/ანკეტაში მითითებული სასწავლო კურსების მიხედვით. დარჩენილი საათების შესრულების მიზნით, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინადადებით და დეკანის დასაბუთებული წარდგინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება მოწვეული იქნას ბსუ-ში შესაბამისი მიმართულებით 3-წლიანი მუშაობის გამოცდილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის/კომპეტენციის მქონე პირი - მასწავლებელი, უფროსი

მასწავლებელი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) ან სპეციალისტი (შესაბამისი დარგის, 5 წელზე მეტი პრაქტიკული გამოცდილების კვალიფიციური პირი). საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, ამავე წესით (კონკურსის გარეშე) შესაძლებელია საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული სპეციალისტის მოწვევა;

8. ემერიტუსები, შეიძლება მოწვეული იქნან ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (კონკურსის გარეშე) მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურზე, ბსუ-ს წესდების შესაბამისად (ანაზღაურების გარეშე).

9. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები შესაძლებელია შრომის კანონმდებლობის დაცვით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საათობრივი ანაზღაურების წესით, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასრულებდნენ სამუშაოს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალის სამსახურში მიღების წესი მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით). *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

10. ამ წესის მე-6-8 პუნქტების შესაბამისად საათების განაწილების შემდეგ დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად პერსონალის მოწვევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, შესაბამისი მიმართულებით მუშაობის/კვალიფიკაციის გათვალისწინებითა და ღია ლექციის (შესაბამისი სააუდიტორიო მეცადინეობის) ჩატარებისა და შეფასების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, საკონკურსო პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული, რექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე. დეკანის წარდგინებაში მიეთითება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (ვაკანტური სასწავლო კურსების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა და ჩატარების დრო - სემესტრი).

11. ამ წესის მე-10 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კონკურსის შედეგების შესახებ ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი (თანდართული საკონკურსო კომისიის ოქმები, საკონკურსო განცხადებები და კონკურსანტის დოკუმენტაცია) წარედგინება ბსუ-ს რექტორს, ხოლო რექტორის რეზოლუციის შესაბამისად - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტსა და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს, კონკურსში გამარჯვებული პირების მოწვევისა და მათი სამუშაო საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების მოსამზადებლად. *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85;* ***2022 წლის 07 ნოემბრის N07-01/48 (ვრცელდება 2022-2023 სასწავლო წლიდან)).***

12. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დამატებითი საათების (სასწავლო კურსებზე სააუდიტორიო ჯგუფების შექმნა/გაყოფა და დავალიანებული კრედიტების დარეგისტრირება) წარმოშობის შემთხვევაშიმოწვეული უნდა იქნას შესაბამისი სასწავლო კურსის აკადემიური თანამდებობის ან/და მოწვეული პირი (კონკურსის გარეშე და მათი თანხმობით). აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია აღნიშნული საათების განაწილება დეპარტამენტის სხვა აკადემიურ ან/და მოწვეულ პირზე.

13. აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა სასწავლო წლის დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება განხორციელდეს ცვილილებები აკადემიურ დატვირთვებში, სწავლების შესაბამის საფეხურზე სასწავლო სემესტრის

დაწყებიდან არაუმეტეს სამი კვირის განმავლობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (აკადემიური/მოწვეული პერსონალის ავადმყოფობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/შეჩერება, სტუდენტთა რაოდენობის ცვლილება და სხვა ობიექტური გარემოება). შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცემა კონკრეტული საგამონაკლისო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

14. ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების საკითხის გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს ,,ა" ,,ბ" ან ,,გ" კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. **ამათგან ,,ა" და ,,ბ' კატეგორიის აკადემიური დატვირთვის** (მათ შორის საუდიტორიო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა აქტივობის) შესრულება მოითხოვს ამ პერსონალის ბსუ-ს სამუშაო საათებში **(ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით - კვირაში არანაკლებ 5 დღისა და არაუმეტეს 40 საათისა)** სამუშაო ადგილზე ყოფნას. *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

14.1. **,,ა" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორს - 280 საათი;

ბ) ასოცირებულ პროფესორს - 330 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს - 350 საათი;

დ) ასისტენტს - 370 საათი;

ე) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს განესაზღვრება 50 საათით ნაკლები სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა.

ვ) *(ამოღებულია - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

14.1. **„ა" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს შემდეგი ოდენობით: *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85; 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/49 (მხოლოდ 2020-2021 და 2021-22 სასწავლო წლისათვის);* ***2022 წლის 16 სექტემბრის N07-01/43 (მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წლისათვის))***

ა) პროფესორს - 300 საათი;

ბ) ასოცირებულს პროფესორს - 350 საათი;

გ) ასისტენტ-პროფესორს - 365 საათი;

დ) ასისტენტს - 385 საათი;

ე) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს განესაზღვრება 30 საათით ნაკლები სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა.

14.2. **,,ბ" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** განესაზღვრება ბსუ-სთან აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს, რომელსაც ამავდროულად უჭირავს ბსუ-ს ადმინისტრაციული, სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობა. აღნიშნული კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა შეადგენს ,,ა' კატეგორიის სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის 50%-ს.

14.3. ,,გ" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა - შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასთან ერთად სავალდებულო წლიური პედაგოგიური დატვირთვა - განესაზღვრება **<u>ბსუ-სთან არააფილირებულ აკადემიურ თანამდებობის</u> პირს** შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესორს - კვირაში 12 საათი/საუდიტორიო - 140 საათი;

ბ) ასოცირებულ პროფესორს - კვირაში 15 საათი/სააუდიტორიო - 165 საათი;
გ) ასისტენტ-პროფესორს - კვირაში 16 საათი/სააუდიტორიო - 175 საათი;
დ) ასისტენტს - კვირაში 16-საათიან/სააუდიტორიო - 185 საათი;

14.3. **„გ“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვა** - შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებასთან ერთად სავალდებულო წლიური პედაგოგიური დატვირთვა -განესაზღვრება ბსუ-სთან არააფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს შემდეგი ოდენობით: *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85; 2021 წლის 17 სექტემბრის N07-01/49 (მხოლოდ 2020-2021 და 2021-22 სასწავლო წლისათვის);* ***2022 წლის 16 სექტემბრის N07-01/43 (მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წლისათვის))***

ა) პროფესორს - 150 საათი;
ბ) ასოცირებულს პროფესორის- 175 საათი;
გ) ასისტენტ-პროფესორს 183 საათი;
დ) ასისტენტს 193 საათი.

14[1]. ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით შესაძლებელია **ამ წესის მე-14 პუნქტში აღნიშნული** სავალდებულო <u>პედაგოგიური დატვირთვა შეუმცირდეს</u> ბსუ-ს აფილირებულ აკადემიური თანამდებობის პირს: ***(დამატება - 2022 წლის 07 ნოემბრის N07-01/48 (ვრცელდება 2022-2023 სასწავლო წლიდან))***

ა) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელისათვის ამ წესით განსაზღვრული <u>შემცირებული (წლიური</u> სამუშაო დატვირთვის შესაბამისად **<u>(30- დან 50 საათამდე)</u>** - თუკი დასაქმებული ხელმძღვანელობს ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე საერთაშორისო საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაფუძნებულ საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს (კათედრას/ცენტრს) და ასრულებს საათობრივ სააუდიტორიო დატვირთვას;

ბ) **50 საათით** - თუკი დასაქმებული არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრად/აკადემიკოსად (საყოველთაოდ აღიარებული მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს მეცნიერების ან/და კულტურის განვითარებაში). თუკი აღნიშნული დასაქმებული ხელმძღვანელობს დარგობრივ დეპარტამენტს, მიწი სავალდებულო წლიური პედაგოგიური სამუშაო დატვირთვა შესაძლებელია შემცირდეს ჯამში არაუმეტეს 100 საათით.“

15. ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაოს შესრულების ვალდებულება ვრცელდება სალექციო/სააუდიტორიო მეცადინეობის პერიოდში.

16. აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორია განისაზღვრება დასაქმებულთან დადებული აფილირების შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ფორმდება შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე. ბსუ-ს შინაგანაწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით დასაშვებია აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლა შემდეგ შემთხვევებში და ვადებში: *(ცვლილება - 2018 წლის 5 მარტის N01 (ვრცელდება 2017-2018 სასწავლო წლიდან))*

ა) „ა“-დან „ბ“ კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - თუკი შეცვლა განპირობებულია ბსუ-ში ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე შრომითი ურთიერთობის

წარმოშობით ან პირიქით, შეწყვეტით. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ინტერესებიდან და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში,** თუკი ზიანი არ ადგება სასწავლო პროცესს და სხვა დასაქმებულის უფლებებს და არ ირღვევა წინამდებარე წესის მოთხოვნები;

ბ) „გ"-დან „ბ" კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - თუკი შეცვლა განპირობებულია ბსუ-ში ერთზე მეტ საშტატო ერთეულზე შრომითი ურთიერთობის წარმოშობით ან შეწყვეტით. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ინტერესებიდან და სასწავლო პროცესის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში,** თუკი ზიანი არ ადგება სასწავლო პროცესს და სხვა დასაქმებულის უფლებებს და არ ირღვევა წინამდებარე წესის მოთხოვნები;

გ) „ა"-დან „გ" კატეგორიის დატვირთვაზე გადასვლა ან პირიქით - ცვლილების შემთხვევაში, დასაქმებულთან გაფორმებული ახალი აფილირების შეთანხმების საფუძველზე. აფილირების განცხადება დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. თუკი ცვლილება დასაქმებულის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში განხორციელდა სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, ამ პირის აფილირებისა და აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ რექტორის ბრძანებებში **ცვლილებები განხორციელდება მომდევნო სემესტრიდან** (<u>**გამონაკლისი**</u> შესაძლებელია განხორციელდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის ინტერესებიდან გამომდინარე).

16[1]. ამ წესის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (მათ შორის საგამონაკლისო) აკადემიური თანამდებობის პირის აკადემიური დატვირთვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შედეგად ამ პირის შესაბამისი სასწავლო წლის სავალდებულო აკადემიური (სამუშაო) დატვირთვა განისაზღვროს აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდეგი პერიოდის სასწავლო კვირებზე პროპორციულად გადანაწილებული სამუშაო საათების მიხედვით. *(დამატება - 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01\45)*

17. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ამ წესით გათვალისწინებული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის პირობებში გაიცემა: *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

ა) ,,ა" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით;

ბ),,ბ" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს ნახევარი;

გ) ,,გ" კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირზე - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური თანამდებობრივი სარგოს ნახევარი.

18. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

19. *(ამოღებულია - 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01\45).*

20. დასაშვებია ერთი პირის მიერ ერთდროულად 8 სადოქტორო/სამაგისტრო /საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში, მათ შორის არაუმეტეს 2

სადოქტორო და არაუმეტეს 3სამაგისტრო ნაშრომის ან ერთდროულად არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (დოქტორანტი ან მაგისტრანტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ ჩაითვლება ამ პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობაში).

21. ბსუ-ში საათობრივი ანაზღაურების წესით პედაგოგიური დატვირთვა (სამუშაო) შეიძლება შეასრულოს და შესაბამისად, მიიღოს დამატებითი შრომითი ანაზღაურება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით: *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

„ა) **„ა“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირმა** - არაუმეტეს **200 სააუდიტორიო საათისა** (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა);

ბ) **„ბ“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირმა (მხოლოდ სამეცნიერო თანამდებობის)** არაუმეტეს **50 სააუდიტორიო საათისა** (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა);

გ) **„გ“ კატეგორიის პედაგოგიური დატვირთვის მქონე პირმა** - არაუმეტეს 150 სააუდიტორიო საათისა (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა);

დ) ბსუ-ს სამეცნიერო/დამხმარე/ადმინისტრაციული თანამდებობის პირმა, რომელსაც არ უჭირავს ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა - **არაუმეტეს 150 სააუდიტორიო** საათი (გარდა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის არაუმეტეს 50 საათისა და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საათებისა);

22. *(ამოღებული - 2017 წლის 29 ივნისის N2).*

23. ამ წესის 21-ე პუნქტით დადგენილი შეზღუდვა (დამატებითი საათობრივი დატვირთვის ზღვრული ოდენობა) ვრცელდება ასევე მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების სასწავლო კურსებზე, თუკი მათი შესრულება დაგეგმილია ბსუ-ს სააუდიტორიო მეცადინეობებისას/სამუშაო დღეებში/საათებში(ორშაბათი-პარასკევი, 09:00 სთ-18:00 სთ).

23[1]. ამ წესის 21-ე პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება ბსუ-ს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ ბსუ-ს პერსონალზე *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N04 გადაწყვეტილებით).*

24. საათობრივი ანაზღაურების წესით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ ბრძანება გამოიცემა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

25. სასწავლო სემესტრის დასაწყისში გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის ბრძანება სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტთა სააუდიტორიო/აკადემიური ჯგუფების შექმნის შესახებ. 26. სააუდიტორიო/აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება: . *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

ა) ლექციაზე – 60 სტუდენტით;

ბ) საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტულ, კომპიუტერულ და ტექნიკურ მეცნიერებებში ლაბორატორიულ/უცხოურ ენებში პრაქტიკული მეცადინეობაზე – 18 სტუდენტით;

გ) ჯანდაცვის/ფსიქოლოგიის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკულ მეცადინეობაზე (კურაცია) – 15 სტუდენტით;

დ) სხვა დანარჩენი სპეციალობების პრაქტიკული/სემინარული მეცადინეობა/ჯგუფში მუშაობა - 30 სტუდენტით.

ე) დამატებით სპეციალობაზე/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში **არანაკლებ 20 სტუდენტით,** გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამების დამატებითი/არჩევითი სპეციალობებისა, რომელზეც კონკრეტული საჭიროების დასაბუთებით, გამონაკლისი დაშვებული იქნება აკადემიური საბჭოს დადგენილებით. ***(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N04 გადაწყვეტილებით).*** *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

ვ) არჩევით სასწავლო კურსში/მოდულში: საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე - **არანაკლებ 20 სტუდენტით,** ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე **-არანაკლებ 5 სტუდენტით.** *(ცვლილება - 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/85)*

26[1]. წინამდებარე წესის 26-ე პუნქტით სტუდენტთა ჯგუფებში განსაზღვრული რაოდენობის გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია ერთჯერადად (შესაბამის სემესტრში ან სასწავლო წელს), კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის საჭიროების გამო გამონაკლისის დაშვების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მიღებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით. *(დამატება - 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01\45)*

27. სხვადასხვა სახის პრაქტიკის დროს ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო ჯგუფში პრაქტიკული მეცადინეობისათვის დადგენილ რაოდენობას, გარდა პედაგოგიური და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკისა, სადაც ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. *(ცვლილება - 2016 წლის 27 ოქტომბრის N2)*

28. **აკადემიური პერსონალის,** გარდა დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტისა, **სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას** (ამ წესის თანდართული **კლასიფიკატორის (დანართი 1)** მიხედვით) **შეადგენს:** *(ცვლილება - 2017 წლის 29 ივნისის N2)*

28.1. **2019 წლამდე პერიოდში:**

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში კლასიფიკატორის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში კლასიფიკატორის მე-2 ან მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება.

28.2. **2019 წლიდან - 2021 წლამდე პერიოდში:**

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში კლასიფიკატორის 1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.1 და 3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება.

28.3. **2021 წლიდან - 2023 წლამდე პერიოდში:**

28.3.1. **პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება.

28.3.2. **ასოცირებული პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 4 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 6 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 4 წელიწადში ერთხელ 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 6 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება;

28.3.3. **ასისტენტ პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 5 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 7 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 5 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) 2.5, 2.6 ან მე-3 პუნქტების 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 7 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება;

28.4. **2023 წლიდან:**

28.4.1. **პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 5 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება;

28.4.2. **ასოცირებული პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 3 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ 2.1 ან მე-3 პუნქტების 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/ მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება;

28.4.3. **ასისტენტ პროფესორისათვის:**

ა) ყოველ 4 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 1.2 ქვეპუნქტით ან ყოველ 6 წელიწადში ერთხელ 1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი თეზისის/თეზისების გამოქვეყნება;

ბ) ბოლო 4 წელიწადში ერთხელ კლასიფიკატორის 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5, 2.6 ან 3.2 ქვეპუნქტებით ან ყოველ 7 წელიწადში ერთხელ 2.1 ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნაშრომის/მონოგრაფიის/ სახელმძღვანელოს გამოქვეყნება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო აქტივობების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან სხვ.) შესრულება.